დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 28
მარტის №105 ბრძანებით

ცვლილებები შეტანილია რექტორის 2020
წლის 27 ივლისის №200 , 2020 წლის 15
ოქტომბრის № 288, 2020 წლის 28
დეკემბრის 373, 2022 წლის 29 ნოემბრის
N139472, 2023 წლის 26 ივლისის №15592
ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

2020 წელი

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი 3

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 4

მუხლი 3. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილებები და ვალდებულებები 4

მუხლი 4. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები 5

მუხლი 5. უნივერსიტეტის უფლებები და ვალდებულებები 6

მუხლი 6. უნივერსიტეტში არჩეული აკადემიური პერსონალის აფილირება 8

მუხლი 7. უნივერსიტეტში კონკურსის წესით ასარჩევი აკადემიური პერსონალის აფილირება 8

მუხლი 8. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა 9

მუხლი 9. აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმა 9

დანართი №1 - პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა 11

დანართი №2 - შეთანხმება აფილირების შესახებ 12

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის აფილირების წესი და პირობები (შემდგომში - წესი) ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“, მოქმედ კანონმდებლობას და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებს.

2. წინამდებარე წესი არეგულირებს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს.

3. აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ევროპის უნივერსიტეტთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში.

4. ევროპის უნიერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი შედგება აფილირებული პროფესორებისგან, აფილირებული ასოცირებული პროფესორებისგან, აფილირებული ასისტენტ-პროფესორებისგან და აფილირებული ასისტენტებისგან.

ა) აფილირებული პერსონალი (აფილირებული პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი) მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში ან/და წარმართავენ მათ.

ბ) პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით აფილირებული ასისტენტი ახორციელებს სასემინარო (სამუშაო ჯგუფში მუშაობა) და სამეცნიერო/კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

5. იმ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შედეგები, რომელიც გააფორმებს წერილობით შეთანხმებას ევროპის უნივერსიტეტთან აფილირების თაობაზე, ჩაეთვლება მხოლოდ ევროპის უნივერსიტეტს, მიუხედავად სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და ორგანიზაციის/დაწესებულების მხრიდან მათ მომზადებასა ან/და გამოქვეყნებაში მონაწილეობისა/ხელშეწყობისა.

6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სხვა საგანმანთლებლო დაწესებულებასთან აფილირების გაფორმების შემთხვევაში შეუწყვიტოს მას აფილირების შეთანხმება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

7. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/ კვლევით საქმიანობას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება.

ბ) აფილირების შეთანხმება – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

მუხლი 3. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილებები და ვალდებულებები

1. უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი უფლებამოსილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) განახორციელოს სწავლება, კვლევაშემოქმედებითი საქმიანობა;

ბ) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში;

გ) მონაწილეობა მიიღოს ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კვლევით კონკურსში დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს განცხადებით სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის დაფინანსების შესახებ;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და აფილირების შეთანხმებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) დაიცვას ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი;

გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით ნაკისრი მოვალეობები;

დ) განახორციელოს ძირითადი საგანმანათლებლო, ასევე კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობა უნივერსიტეტის სახელით, რომლის (კვლევის) შედეგებიც ჩაეთვლება უნივერსიტეტს;

ე) სამეცნიერო აქტივობა განახორციელოს აკადემიური წლის განმავლობაში „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესში“ დადგენილ ქულათა მინიმალური ოდენობით;

ვ) უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს წარუდგინოს ანგარიშები და განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების შესახებ დოკუმენტები/მტკიცებულებები „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის“ შესაბამისად;

ზ) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

თ) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა აქტივობაში;

ი) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, იყოს ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

კ) აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

3. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს აფილირების შეთანხმების შეწყვეტა ან/და შპს ევროპის უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის დაკისრება.

მუხლი 4. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები

აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებია:

ა) დამოუკიდებელი კვლევის განხორციელება, რაც აისახება დისციპლინის შესაბამისი სამეცნიერო/კვლევითი პროდუქტის (პატენტი, სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი, ა.შ.) მომზადებაში და მისი სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისთვის გაზიარება

(ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე/სიმპოზიუმებზე/ფორუმებზე წარდგენის, რეფერირებად და რეზენცირებად სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების, ა.შ. გზით);

ბ) დისციპლინის შესაბამისი მკვლევართა ქსელთან თანამშრომლობა (სამეცნიერო აკადემიის, დისციპლინის შესაბამისი ასოციაციის წევრობა, ა.შ.);

გ) კვლევითი პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება ინდივიდუალურად ან მკვლევართა ჯგუფთან ერთად, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;

დ) შესაბამისი დისციპლინის მიხედვით ცოდნის განვითარება და გაზიარება, რაც გამოიხატება აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სიმპოზიუმების/სამუშაო შეხვედრების/ვორქშოფების/დისკუსია/დებატების/ვებინარების დაგემვა - განხორციელება ან/და მონაწილეობის მიღებაში;

ე) უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო პერსონალთან საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება მათი სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით;

ვ) სტუდენტების მხარდაჭერა მათი სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიზნით (სტუდენტების ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისთვის მომზადება/ხელმძღვანელობა, სტუდენტების სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადების ხელმძღვანელობა, რეცენზირება, და თანაავტორობა, სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვა, ა.შ.);

ზ) დისციპლინის შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფიების, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების, ა.შ.) რეცენზირება;

თ) რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ(ებ)ის რედაქტორობა და რეცენზირება.

მუხლი 5. უნივერსიტეტის უფლებები და ვალდებულებები

1. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) იზრუნოს აფილირებული აკადემიური პერსონალის მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე;

ბ) ხელი შეუწყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევას და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობის ღონისძიებების განხორციელებას;

გ) ხელი შეუწყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

დ) ხელი შეუწყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კველევითი საქმიანობის განხორციელებას;

ე) დააფინანსოს პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევები;

ვ) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის სასწავლო კურსებით დატვირთვა;

ზ) უზრუნველყოს ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო.

თ) აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესით“ განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობებით ყოველწლიურად მისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ქულათა რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში გასცეს შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით.[1]

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს გაფორმებული ხელშეკრულებით/ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

ბ) მოსთხოვოს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს საგანმანათლებლო, კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება გაფორმებული ხელშეკრულებით/შეთანხმებითა და პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესით განსაზღვრული ოდენობით, ხოლო მისი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს ევროპის უნივერსიტეტს.

[1] *თუ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი არის ევროპის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი და მისი პუბლიკაცია/სამეცნიერო ნაშრომი ანაზღაურდება მეცნიერ-თანამშრომლის ხელშეკრულების ფარგლებში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აღარ უნაზღაურდება აფილირების თანხა. ხოლო, თუ აფილირების თანხა აჭარბებს მეცნიერ-თანამშრომლის ანაზღაურებას, უნაზღაურდება თანხას შორის სხვაობა. ამასთანავე, აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით წინასწარ გაცემული თანხა აკლდება აფილირების ანაზღაურებას.*

გ) გაფორმებული ხელშეკრულების/შეთანხმების შესაბამისად შეუწყვიტოს აფილირების შეთანხმება უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს, რომელიც სხვა საგანმანთლებლო დაწესებულებასთან გააფორმებს აფილირების შეთანხმებას.

დ) აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ აფილირების პირობების დარღვევის შემთხვევაში, გამოიყენოს მათ მიმართ დისციპლინური სანქცია, გაფორმებული ხელშეკრულების/ შეთანხმების და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

მუხლი 6. უნივერსიტეტში არჩეული აკადემიური პერსონალის აფილირება

1. პერსონალი, რომელსაც წინამდებარე წესის ამოქმედების მომენტისთვის უნივერსიტეტში უკავია აკადემიური თანამდებობა, უფლებამოსილია, უნივერსიტეტის ნების გათვალისწინებით, გააფორმოს აფილირების შეთანხმება უნივერსიტეტთან.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტთან შეთანხმებით უფლებამოსილია სხვა უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში განახორციელოს სწავლება, მაგრამ საშუალო კვირეული დატვირთვა არაუმეტეს 10 საათისა. იმ შემთხვევაში, თუ ევროპის უნივერსიტეტში მისი სააუდიტორიო საათობრივი დატვირთვა არ არის სრული, იგი უფლებამოსილია გაიზარდოს სააუდიტორიო დატვირთვა სხვა უსდ-ში ისე, რომ მისი საათობრივი დატვირთვა არ აჭარბებდეს ევროპის უნივერსიტეტსა და სხვა უსდ-ში ჯამში ასაღები საათების რაოდენობას.

3. უნივერსიტეტი QMS ბაზის მეშვეობით ახორციელებს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური/სასწავლო დატვირთვის მონიტორინგს.

მუხლი 7. უნივერსიტეტში კონკურსის წესით ასარჩევი აკადემიური პერსონალის აფილირება

უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის შემდეგ აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი, უნივერსიტეტის ნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია წერილობითი ფორმით დაასტუროს აფილირება უნივერსიტეტთან.

მუხლი 8. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური სემესტრული დატვირთვა განისაზღვრება შემდეგი სქემით:

ა) აფილირებული პროფესორი:

აკადემიური საქმიანობა - სემესტრში არაუმეტეს 315 საათისა (კვირაში საშუალოდ 21 აკადემიური საათი);

ბ) აფილირებული ასოცირებული პროფესორი:

აკადემიური საქმიანობა - სემესტრში არაუმეტეს 360 საათისა (კვირაში საშუალოდ 24 აკადემიური საათი);

გ) აფილირებული ასისტენტ-პროფესორი:

აკადემიური საქმიანობა - სემესტრში არაუმეტეს 405 საათისა (კვირაში საშუალოდ 27 აკადემიური საათი);

დ) აფილირებული ასისტენტი:

აკადემიური საქმიანობა პრატიკული, სამუშაო ჯგუფში და სასემინარო მუშაობა პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით - სემესტრში არაუმეტეს 405 საათისა (კვირაში საშუალოდ 27 აკადემიური საათი (პრაქტიკული / ჯგუფში მუშაობის საათები და ა.შ.).

მუხლი 9. აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმა

1. უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და უნივერსიტეტში საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე, „პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ“ განმცხადებლის თანხმობას (წერილის ფორმას) ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი *(იხ. დანართი №1).*

3. უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის ფორმდება შეთანხმების აქტი *(იხ. დანართი №2).*

დანართი №1

პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა

მე ---------- პ/ნ---------- თანხმობას ვაცხადებ ევროპის უნივერსიტეტთან (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) შრომით-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში უნივერსიტეტის მიერ დამუშავებულ იქნეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია, აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

განმცხადებლის ხელმოწერა _____

თარიღი _____

დანართი №2

შეთანხმება აფილირების შესახებ

ქ. თბილისი _____/_____/20__
წ.

მუხლი 1. შეთანხმების მხარეები

ერთი მხრივ, შპს ევროპის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) და მეორე მხრივ, შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი _____ (პირადი №_____) (შემდგომში - „აფილირებული პირი“), საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების“ შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 2. შეთანხმების საგანი

2.1 წინამდებარე შეთანხმებით აფილირებული პირი თანხმობას აცხადებს, იყოს აფილირებული შპს ევროპის უნივერსიტეტთან.

2.2 უნივერსიტეტის და აფილირებული პირის უფლება-მოვალეობები, აფილირების საკითხებში, განისაზღვრება წინამდებარე შეთანხმებით და „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესისა და პირობების“ შესაბამისად.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 აფილირებული პირი ვალდებულია:

ა) განსაზღვროს თავისი აფილირება მხოლოდ ევროპის უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

ბ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, იყოს ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

გ) ,,შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის“ შესაბამისად, ყოველწიურად განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; ამასთან, მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები ჩაეთვლება ევროპის უნივერსიტეტს;

დ) აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და მათი აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში;

ე) „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის“ შესაბამისად, უნივერსიტეტს წარუდგინოს დადგენილი ფორმით შესრულებული ანგარიშები და განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/მტკიცებულებები;

ვ) ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში, იყოს ჩართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ზ) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

თ) დაიცვას ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი;

ი) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით ნაკისრი მოვალეობები;

კ) აფილირების შესახებ შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე, აფილირებული პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წერილობით აცნობოს არანაკლებ ერთი თვით ადრე.

3.2 აფილირებული პირი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს სწავლება, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ბ) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

დ) „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის“ შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში განსაზღვრული მინიმალურ ქულათა

რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში მოითხოვოს ანაზღაურება _____ ლარის ოდენობით.[2]

ე) მონაწილეობა მიიღოს ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კვლევით კონკურსში დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს განცხადებით სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის დაფინანსების შესახებ.

3.3 უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) იზრუნოს აფილირებული პირის მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე;

ბ) ხელი შეუწყოს აფილირებული პირის მონაწილეობას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, მის მიერ საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას;

გ) ხელი შეუწყოს აფილირებული პირის მონაწილეობას საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

დ) ხელი შეუწყოს აფილირებული პირის სამეცნიერო-კველევითი საქმიანობის განხორციელებას.

ე) დააფინანსოს პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევები;

ვ) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის სასწავლო კურსებით დატვირთვა;

ზ) აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესით“ განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობებით ყოველწლიურად მისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ქულათა რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში გასცეს შესაბამისი ანაზღაურება.

3.4 უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს აფილირებულ პირს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

ბ) მოსთხოვოს აფილირებულ პირს ძირითადი საგანმანათლებლო, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება. ერთი წლის განმავლობაში სამეცნიერო საქმიანობის შეუსრულებლობის

[2] *თუ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი არის ევროპის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი და მისი პუბლიკაცია/სამეცნიერო ნაშრომი ანაზღაურდება მეცნიერ-თანამშრომლის ხელშეკრულების ფარგლებში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აღარ უნაზღაურდება აფილირების თანხა. ხოლო, თუ აფილირების თანხა აჭარბებს მეცნიერ-თანამშრომლის ანაზღაურებას, უნაზღაურდება თახას შორის სხვაობა. ამასთანავე, აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით წინასწარ გაცემული თანხა აკლდება აფილირების ანაზღაურებას.*

შემთხვევაში, მისცეს გაფრთხილება, ხოლო ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო საქმიანობის შეუსრულებლობისას შეუწყვიტოს შრომის ხელშეკრულება;

გ) თითოეული სემესტრის დასაწყისში მოსთხოვოს აფილირებულ პირს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო დატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა;

დ) აფილირებული პირის მიერ წინამდებარე შეთანხმების ან შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, გამოიყენოს უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად განსაზღვრული დისციპლინური სახდელის სახე; ხოლო, აფილირებული პირის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების გაფორმების შემთხვევაში, შეუწყვიტოს მას აფილირების შესახებ წინამდებარე შეთანხმება და მოსთხოვოს აფილირებულ პირს ზიანის ანაზღაურება.

3.5. აფილირებული პერსონალის მიერ გამოქვეყნებული იმ პუბლიკაციების ქულები[3], რომლებიც არ არის გამოქვეყნებული ევროპის უნივერსიტეტის სახელით, გამოაკლდება მის საბოლოო ქულას მინიმალური სავალდებულო ქულების გამოთვლისას და მიღებული შედეგების მიხედვით გადაწყდება მისი აფილირების ანაზღაურების საკითხი. თუმცა, აღნიშნული პუბლიკაციები ითვლება სამეცნიერო-კვლევით აქტივობაში და ასეთი პუბლიკაციებით სავალდებულო ქულების დაგროვების შემთხვევაში, აფილირებული პერსონალი არ იღებს გაფრთხილებას მინიმალური მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო.

მუხლი 4. შეთანხმების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

4.1. ამ შეთანხმების მოქმედების ვადა განისაზღვრება აფილირებული პირის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადით;

4.2. შეთანხმება, ასევე, შეიძლება შეწყდეს საქართველოს შრომის კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აფილირებული პირის მიერ ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსის დარღვევის, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

[3] *ქულების მინიჭების საკითხი განსაზღვრულია "შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის" შესაბამისად.*

მუხლი 5. დამატებითი და დასკვნითი დებულებანი

5.1. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, იგი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით; შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან დავა გადაწყვიტონ სასამართლოს მეშვეობით.

5.2 მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე შეთანხმება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

5.3 მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ, რომ გაეცნენ „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს“ და „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესს”.

5.4 საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე შეთანხმებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები” წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. ის საკითხები რაც არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმებით რეგულირდება ზემოაღნიშნული წესით.

5.5 წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.6. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

უნივერსიტეტი	აფილირებული პირი
შპს ევროპის უნივერსიტეტი	სახელი გვარი
ს/კ 201954956	პირადი № ___
ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. №76	მისამართი _____
ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №17	_____
ხელმოწერა	**ხელმოწერა**
_____	_____
_____	_____